



# საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია

## გ ა ლ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №69/15

2017 წლის 14 სექტემბერი

ქ. თბილისი

### საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაში განსახილველ ზოგიერთ განცხადებაზე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვადის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ (შემდგომში - კომისია) საჯარო სხდომაზე განიხილა შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ მიმართ შპს „ნიკას“ (რეგისტრაციის N12124/01 04.09.2017), შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ მიმართ მოქალაქე დარეჯან სვანიძის (რეგისტრაციის N12110/01 04.09.2017), შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ მიმართ მოქალაქე მარინა ბედიანაშვილის (რეგისტრაციის N12166/01 05.09.2017), შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ მიმართ მოქალაქე ლევან მიზანდარის (რეგისტრაციის N12168/01 05.09.2017), შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ მიმართ მოქალაქე ლია ცალანისა (რეგისტრაციის N12187/01 05.09.2017) და შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ მიმართ მოქალაქე ასია ვანიანის (რეგისტრაციის N12227/01 06.09.2017) განცხადებათა თაობაზე ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვადის განსაზღვრის საკითხი.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დასახელებულ განცხადებასთან დაკავშირებით ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოსაცემად და საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა დადგენისათვის საჭიროა განცხადების დასაბუთებულობის შემოწმებისათვის საჭირო დოკუმენტებისა და სხვა მტკიცებულებების შესაბამისი უწყებებიდან გამოთხოვა, გამოკვლევა და შეფასება, რაც დამატებით დროს მოითხოვს.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-100 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში, თუ საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა დადგენისათვის აუცილებელია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოსაცემად

კანონმდებლობით გათვალისწინებულზე მეტი ვადა, ადმინისტრაციულ ორგანოს ადმინისტრაციული წარმოების დაწყებისას გამოაქვს გადაწყვეტილება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვადის განსაზღვრის შესახებ. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ეს ვადა არ უნდა აღემატებოდეს სამ თვეს.

„ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-100 მუხლის საფუძველზე, კომისიამ

## გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა

1. შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუნდის“ მიმართ შპს „ნიკას“ (რეგისტრაციის N12124/01 04.09.2017) განცხადებასთან დაკავშირებით ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის საბოლოო ვადად განისაზღვროს არა უგვიანეს 2017 წლის 29 ნოემბრისა.

2. შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუნდის“ მიმართ მოქალაქე დარეჯან სვანიძის (რეგისტრაციის N12110/01 04.09.2017) განცხადებასთან დაკავშირებით ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის საბოლოო ვადად განისაზღვროს არა უგვიანეს 2017 წლის 29 ნოემბრისა.

3. შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუნდის“ მიმართ მოქალაქე მარინა ბედიანაშვილის (რეგისტრაციის N12166/01 05.09.2017) განცხადებასთან დაკავშირებით ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის საბოლოო ვადად განისაზღვროს არა უგვიანეს 2017 წლის 30 ნოემბრისა.

4. შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუნდის“ მიმართ მოქალაქე ლევან მიზანდარის (რეგისტრაციის N12168/01 05.09.2017) განცხადებასთან დაკავშირებით ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის საბოლოო ვადად განისაზღვროს არა უგვიანეს 2017 წლის 30 ნოემბრისა.

5. შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუნდის“ მიმართ მოქალაქე ლია ცალანის (რეგისტრაციის N12187/01 05.09.2017) განცხადებასთან დაკავშირებით ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის საბოლოო ვადად განისაზღვროს არა უგვიანეს 2017 წლის 30 ნოემბრისა.

6. შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუნდის“ მიმართ მოქალაქე ასია ვანიანის (რეგისტრაციის N12227/01 06.09.2017) განცხადებასთან დაკავშირებით ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის საბოლოო ვადად განისაზღვროს არა უგვიანეს 2017 წლის 1 დეკემბრისა.

7. გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ ეცნობოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი საჩივრის წარმდგენ პირებს;

8. გადაწყვეტილება ძალაშია კომისიის საჯარო სხდომაზე გამოცხადების დღიდან;

9. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6), მხარეებისათვის მისი გადაცემიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.

ირინა მილორავა

კომისიის თავმჯდომარე

მაია მელიქიძე

კომისიის წევრი

გიორგი ფანგანი

კომისიის წევრი

